გეოგრაფიული კალენდარი

მაია ბლიაძე



14 მარტი მდინარის საერთაშორისო დღეა (ინგ. Day of Action for Rivers). მას ადრე კაშხლების მშენებლობასთან ბრძოლის, მდინარის დაცვის, წყლისა და სიცოცხლის დღე ერქვა (ინგ. International Day of Action Against Dams and for Rivers, Water and Life). 1998 წელს ამ დღეს მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში, მათ შორის - ბრაზილიაში, ინდოეთში, ტაილანდში, ავსტრალიაში, რუსეთში, იაპონიასა და აშშ-ში, 50-მდე საპროტესტო აქცია გაიმართა. ამჟამად ეს დღე მსოფლიოს მრავალ ქვეყენაში აღინიშნება.

20 მარტი - ბედნიერების საერთაშორისო დღე (ინგ. International Happines Day) - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2012 წლის ივლისში ოფიციალურად დაადგინა. ამ დღესთან დაკავშირებით გაეროს გენერალურმა მდივანმა პან გი მუნმა მილოცვის ტექსტი გამოაქვეყნა. მილოცვაში ნათქვამია, რომ ბედნიერებისკენ მისწრაფების საფუძველი ადამიანურ სურვილებშია. პან გი მუნის თქმით, ადამიანები ყოველთვის ილტვიან ბედნიერი ცხოვრებისკენ, სადაც არ იქნება შიში, გაჭირვება და დედამიწაზე სრული ჰარმონია დაისადგურებს. ამასთან, პან გი მუნმა მწუხარებით აღნიშნა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს, თუმცა მრავალი ქვეყანა ამ ვითარების შეცვლას ცდილობს.

გაეროს ექსპერტთა თქმით, ეს დღე შესაძლოა პლანეტის მცხოვრებთა თანასწორობის სიმბოლოდ იქცეს, რომლებსაც ბედნიერების სრული უფლება აქვთ.

21 მარტი ტყის (ტყის დაცვის) საერთაშორისო დღედ (ინგ. International Day of Forests) გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აღიარა და 1971 წლიდან აღინიშნება. ამ დღის დაარსების ინიციატივით გაეროს 23-ე გენერალურ ასამბლეაზე ევროპის სოფლის მეურნეობის კონფედერაცია გამოვიდა. ამ დღის მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება ტყის მნიშვნელობის თაობაზე



22 მარტი, წყლის რესურსების საერთაშორისო დღე (ინგ. World Day for Water), ყოველწლიურად აღნიშნება, რათა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სასმელი წყლის მნიშვნელობასა და წყლის რესურსების მდგრადი მართვის ადვოკატირებას. წყლის საერთაშორისო დღის აღნიშვნა რეკომენდებულ იქნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1992 წელს გარემოსა და განვითარების კონფერენციაზე (UNCED) და 1993 წლიდან აღინიშნება.

წყლის საერთაშორისო დღე ყოველწლიურად წყალმოხმარების სხვადასხვა სპეციფიკურ ასპექტს ეძღვნება. ეს დღე ყველას შეახსენებს, რომ უნდა გავუფრთხილდეთ წყალს, რაციონალურად და მომჭირნედ გამოვიყენოთ ბუნებრივი რესურსები.



23 მარტი მსოფლიო მეტეოროლოგიის დღეა (ინგ. World Meteorological Day*).* ეს თარიღი 1950 წლის 23 მარტს მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის (მმო) დაარსების შესახებ კონვენციის ძალაში შესვლას უკავშირდება, მაგრამ მისი აღნიშვნა მხოლოდ 1961 წლიდან დაიწყო.

მსოფლიოს მეტეოროლოგიური ორგანიზაციის მიზანია ამინდისა და კლიმატის ცვლილების, წყლით გამოწვეული მსხვერპლისა და ზიანის შემცირება, აგრეთვე - მდგრადი განვითარების უნივერსალური მიზნის დასახვა, კლიმატის შენარჩუნება და გარემოს დაცვა თანამედროვე და მომავალი თაობებისათვის.

ამინდის მსოფლიო სამსახურის ძირითად კომპონენტს დედამიწაზე, ზღვაზე, ჰაერსა და კოსმოსურ სივრცეში მეტეოროლოგიურ პარამეტრებზე დაკვირვების გლობალური სისტემა წარმოადგენს. ამ სისტემაში გაერთიანებულია მმო-ს წევრი 191 ქვეყანა, მათ შორის -

საქართველოც. 2013 წლის მეტეოროლოგიის მსოფლიო დღის თემაა „ამინდზე დაკვირვებები სიცოცხლისა და ქონების დასაცავად“.

23 მარტს, ადგილობრივი დროით - 20:30 საათზე, დედამიწის საათი (**ინგ.** Earth Hour) აღინიშნება. პირველად ის 2007 წელს სიდნეიში აღინიშნა ველური ბუნების მსოფლიო ფონდის ინიციატივით. 2008 წელს კამპანია ავსტრალიის ფარგლებს გასცდა და 35 ქვეყანა მოიცვა. მონაწილე ქვეყნების რაოდენობა თანდათანობით გაიზარდა და 2012 წელს რეკორდულ მაჩვენებელს – 152-ს მიაღწია.

საქართველო დედამიწის საათს 2009 წლიდან აღნიშნავს. ეს ღონისძიება მიზნად ისახავს ყურადღების გამახვილებას და დაფიქრებას კლიმატის ცვლილებაზე, წელიწადში თუნდაც ერთი საათით. 2013 წელს აქციაში მსოფლიოს 7 ათასამდე ქალაქი ჩაერთო და მთელ მსოფლიოში ნაკლებად საჭირო განათება ერთი საათით გამოირთო. იმ ცნობილ ობიექტებს შორის, რომლებიც ჩაბნელდა, იყო ეიფელის კოშკი, ბრანდენბურგის კარიბჭე, ბუკინგემის სასახლე, ნიაგარის ჩანჩქერის განათება და სხვ.

1 აპრილი ფრინველთა საერთაშორისო დღეა (**ინგ.** World Bird Day) და ყოველწლიურად UNESCO-ს პროგრამა „ადამიანი და ბიოსფეროს“ ფარგლებში აღინიშნება, რადგან სწორედ 1 აპრილს მოეწერა ხელი საერთაშორისო კონვენციას ფრინველთა დაცვის შესახებ.
მსოფლიოში სულ რამდენიმე ეგრეთ წოდებულ „ფრინველის“ თარიღს აღნიშნავენ: ფრინველთა საერთაშორისო დღეს - 1 აპრილს, ფრინველთა დღეს - 4 მაისს, ფრინველთა ნაციონალურ დღეს აშშ-ში - 5 იანვარს, გადამფრენი ფრინველების საერთაშორისო დღეს - მაისის მეორე შაბათს, ფრინველთა ნაციონალურ დღეს დიდ ბრიტანეთში - 22 იანვარს. ამ დღეებში ყოველწლიურად იმართება ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, ღონისძიებები, საგანმანათლებლო პროგრამები და ექსკურსიები ფრინველებზე დაკვირვების მიზნით, რათა ხაზი გაესვას ფრინველებისა და მათი ჰაბიტატების დაცვის მნიშვნელობას.

7 აპრილი ჯანმრთელობის მსოფლიო დღეა (**ინგ.world Health Day**) და 1948 წლიდან აღინიშნება. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ყოველ წელს ირჩევს ჯანმრთელობის ამა თუ იმ ძირითად გლობალურ საკითხს და ორგანიზებას უწევს ღონისძიებებს საერთაშორისო, რეგიონულ და ადგილობრივ დონეზე, რათა შერჩეული თემა საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცეს.

12 აპრილი ავიაციისა და კოსმონავტიკის საერთაშორისო დღეა (ინგ. National Aviation Day). ამ დღის დღესასწაულად გამოცხადება მას შემდეგ გადაწყდა, რაც 1961 წლის 12 აპრილს კოსმოსში, ორბიტაზე პირველი ადამიანი - იური გაგარინი გაფრინდა. აფრენა მოხდა იმჟამინდელი სსრკ-ს ბაიკონურის კოსმოდრომიდან. ხომალდმა „ვოსტოკმა“, რომელშიც გაგარინი იმყოფებოდა, 108 წუთის განმავლობაში განახორციელა ორბიტალური ფრენა დედამიწის გარშემო და წარმატებით დაუბრუნდა დედამიწას. ეს დღე ძირითადად საბჭოთა კავშირის ქვეყნებში აღინიშნებოდა, მაგრამ 2011 წლის 7 აპრილს გაერომ სპეციალურ პლენარულ სხდომაზე მიიღო რეზოლუცია 12 აპრილის „ადამიანის კოსმოსში გაფრენის საერთაშორისო დღედ“ გამოცხადების შესახებ. რეზოლუციის თანაავტორი 60-ზე მეტი ქვეყანაა.

18 აპრილი ძეგლებისა და ისტორიული ადგილების საერთაშორისო დღეა (ინგ. International Day for Monuments and Historic Sites). იგი 1983 წელს იუნესკოსა და იკომოსის გადაწყვეტილებით დაწესდა და მას მთელ მსოფლიოში 1984 წლიდან აღნიშნავენ.

22 აპრილი დედამიწის დღეა (ინგ. Earth Day) და იგი პირველად 1970 წელს აღინიშნა, როცა ცნობილი ამერიკელი გარემოსდამცველი სენატორის გეილორდ ნელსონის მოწოდებით 20 მილიონი ამერიკელი გამოვიდა დედამიწის დასაცავად. ამ დღეს სანტა ბარბარას საბადოდან ნავთობი დაიღვარა, რამაც ოკეანის დაბინძურება და წყლის ბინადართა განადგურება გამოიწვია. დედამიწის დღე მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური გარემოსდაცვითი ღონისძიებაა, რომლშიც ყოველ წელს მსოფლიოს 175 ქვეყნის 17 000-მდე ორგანიზაცია და მილიონობით მოხალისე მონაწილეობს.

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ინიციატივით, დედამიწის დღე პირველად 1990 წელს აღინიშნა და მას შემდეგ ამ ღონისძიებას ყოველწლიურად უერთდება მრავალი ორგანიზაცია და მოხალისე, რომლებიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა ტიპის გარემოსდაცვით საქმიანობას ახორციელებენ.

აპრილი - მაისი, ასტრონომიის საერთაშორისო დღე (ინგ. Astronomy Day), ერთ-ერთ უძველეს სამეცნიერო დისციპლინაში მოღვაწე ადამიანების - ასტრონომების - პროფესიული დღესასწაულია, რომელიც პირველად 1973 წელს აშშ-ში აღინიშნა. ამ დღის აღნიშვნის ინიციატორი დუგლას ბერგერია. ეს დღე აღინიშნება გაზაფხულზე - აპრილის შუა რიცხვებიდან მაისის შუა რიცხვებამდე, როცა მთვარე თავის ¼ ფაზაში იმყოფება.

9 მაისი ევროპის კავშირის დღეა (ინგ. Europe day). 1950 წლის 9 მაისს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერ შუმანი პარიზში გამოვიდა განცხადებით, რომელშიც მან ევროპული ინტეგრაციის იდეა წამოაყენა. მისი განხორციელება დაიწყო 1951 წელს, როდესაც შეიქმნა ქვანახშირისა და ფოლადის ევროპული გაერთიანება 6 ქვეყნის (საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ნიდერლანდი, ბელგია, ლუქსემბურგი) მონაწილეობით. ამჟამად ევროპის კავშირი 27 ქვეყანას აერთიანებს. სხვა წყაროების თანახმად, ევროპის გაერთიანების დღედ 5 მაისსაც მიიჩნევენ, ვინაიდან 1949 წლის 5 მაისს ლონდონში ხელი მოეწერა ევროპის საბჭოს წესდებას. იგი ძალაში შევიდა იმავე წლის 3 აგვისტოს და დღეს საბჭო ევროპის ყველაზე წარმომადგენლობით

საკონსულტაციო ორგანიზაციად ითვლება. ევროპის საბჭოში 50-ზე მეტი ქვეყანაა გაერთიანებული, მათ შორის - საქართველოც.

18 მაისი მუზეუმების საერთაშორისო დღეა (ინგ. International Museum Day). ამ პროფესიული დღის დაწესება 1977 წელს მოსკოვში, მუზეუმების საერთაშორისო კავშირის მე-11 გენერალურ კონფერენციაზე, საბჭოთა დელეგაციის ინიციატივით გადაწყდა. 1978 წლიდან ეს დღესასწაული მსოფლიოს 150 ქვეყანაში აღინიშნება. ამ დღეს მუზეუმებში იმართება ღია კარის დღეები, სამეცნიერო კონფერენციები და სხვა ღონისძიებები.

21 მაისი კოსმოსის საერთაშორისო დღეა (ინგ. International Space Day). მისი აღნიშვნის იდეა 1998 წლის თებერვალში ამერიკელმა ასტრონავტმა ენდრიუ ტომასმა ორბიტალურ სადგურ „მირის“ ბორტიდან გაახმიანა. ენდრიუ ტომასი რუსულ ორბიტალურ სადგურში 1998 წლის იანვრიდან იმყოფებოდა. პროგრამის თანახმად, მისი ექსპედიცია 8 ივნისს დამთავრდა, როდესაც ის კოსმოსურ ხომალდ “დისქავერით” კანავერალის კონცხზე დაეშვა.

22 მაისი ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეა (ინგ. International Day for Biological Diversity). იგი 2000 წელს გაეროს გაერთიანებული ასამბლეის გადაწყვეტილებით დაარსდა. ეს თარიღი იმ მიზეზით შეირჩა, რომ 1992 წელს სწორედ ამ დღეს მიიღეს ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ გაეროს კონვენცია.

ბიომრავალფეროვნების დაცვის საერთაშორისო დღე ყოველ წელს ერთ კონკრეტულ გარემოსდაცვით თემას ეძღვნება. 2013 წლის 22 მაისის თემაა „წყალი და ბიომრავალფეროვნება“. მთელ მსოფლიოში ამ დღის აღნიშვნა მიზნად ისახავს ბიომრავალფეროვნების დაცვის ხელშეწყობას, მოსახლეობთვის ინფორმაციის მიწოდებას ფლორისა და ფაუნის ენდემებისა და ბიომრავალფეროვნებაში მათი როლის შესახებ, ცოდნის ამაღლებას და ბიომრავალფეროვნების მნიშვნელობის უკეთ გაგება-გააზრებას.

საქართველოს ბიომრავალფეროვნება მდიდარია და მნიშვნელოვანია, როგორც ეროვნული, ასევე რეგიონული და გლობალური თვალსაზრისით - სახეობრივი მრავალფეროვნების, ენდემიზმის დონისა თუ ფლორისა და ფაუნის ისტორიული განვითარების თავისებურებების მხრივ. მას დაცვა და გაფრთხილება სჭირდება.

2 ივნისი მტკვრის დაცვის დღეა (ინგ. River Mtkvari (Kura) Protection Day). ეს დღე 1999 წელს დაწესდა კოალიცია „მტკვარ-არაქსის“ ინიციატივით და საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში უკვე 12 წელია აღინიშნება. მტკვარ-არაქსის დაცვის დღის დაწესება განაპირობა მდინარე მტკვრის აუზში შექმნილმა კრიტიკულმა ეკოლოგიურმა მდგომარეობამ. მდინარე მტკვარზე დასუფთავების აქცია საქართველოში პირველად 1907 წელს გაიმართა. ამ დღეს დაასუფთავეს მტკვრის სანაპირო ზოლი, რაშიც ორგანიზატორებთან ერთად სხვადასხვა უნივერსიტეტების სტუდენტები და სხვა მოხალისეებიც მონაწილეობდნენ.

5 ივნისი, გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე (ინგ.World Environment Day), 1972 წელს დაარსდა გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის მიერ. მისი მიზანია საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩაბმა გარემოს დასაცავად მიმართულ ქმედებებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინიციატივით, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა (UNEP) ყოველი წლის 5 ივნისს გარემოს დაცვის რომელიმე საკითხს უძღვნის. მაგალითად, 2011 წლის მთავარი თემა იყო „ბუნება თქვენს სამსახურში“.

8 ივნისი მსოფლიოს ოკეანეების საერთაშორისო დღეა (ინგ. World Oceans Day**).** ის 1992 წელს რიო-დე-ჟანეიროში გამართულ კონფერენციაზე დაწესდა. მას შემდეგ დღესასწაულს აღნიშნავს ყველა, ვისაც კი რაიმე შეხება აქვს ოკეანესთან - ეკოლოგები, ოკეანელოგები, იქთიოლოგები, ზოოპარკების, აკვარიუმებისა და დელფინარიუმების თანამშრომლები. ისინი ყველა ღონეს ხმარობენ ოკეანეების ბინადართა დასაცავად. 2008 წელს გადაწყდა დღესასწაულის ოფიციალურად აღნიშვნა, რათა მოსახლეობამ მეტი გაიგოს ოკეანეების შესახებ.

.

17 ივნისი გაუდაბნოებასა და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღეა (ინგ. World Day to combat Desertification and Drought). ეს დღე 1995 წელს დააწესა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ - სწორედ ამ წელს მიიღეს კონვენცია „გაუდაბნოებასთან ბრძოლის“ შესახებ. კონვენცია სახელმწიფოებისაგან მოითხოვდა, გაუდაბნოებასა და გვალვასთან ბრძოლის მსოფლიო დღე საერთაშორისო თანამშრომლობის ინფორმაციის ამაღლებისა და გაუდაბნოებასთან ბრძოლისთვის მიეძღვნათ. გაუდაბნოება – ეს მსოფლიოში გარემოს დეგრადაციის ერთ-ერთი საშიში პროცესია და დაახლოებით 1 მილიარდ ადამიანს ჯანმრთელობისა და შემოსავლის წყაროს დაკარგვის საფრთხეს უქმნის. ყოველ წელს გაუდაბნოება და გვალვა სოფლის მეურნეობაში 42 მილიარდი დოლარის ოდენობის დანაკარგს იწვევს.

20 ივნისი ლტოლვილთა დღეა (ინგ. World Refugee Day). გაერომ ამ დღის აღნიშვნა 2000 წელს დაიწყო. ამჟამად მსოფლიოში 42 მილიონზე მეტი ლტოლვილია, რომლებიც ომების, კონფლიქტების, სტიქიური უბედურებებისა და შიმშილობის გამო სამშობლოდან განდევნილნი აღმოჩნდნენ. ამ დღის აღნიშვნის მიზანია მსოფლიოში გაფანტული მილიონობით ლტოლვილის პრობლემებზე ყურადღების გამახვილება.

11 ივლისი მსოფლიოს მოსახლეობის დღეა (ინგ. World Population Day) და იგი 1989 წლიდან აღინიშნება. მსოფლიოს მოსახლეობის დღის დატვირთვა საზოგადოების ყურადღების მიპყრობაა დემოგრაფიული პრობლემისა და მისი მოგვარებისაკენ. დღეისათვის დედამიწის მოსახლეობა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის მოსახლეობის ხარჯზე იზრდება. მიუხედავად სიკვდილიანობის მაღალი მაჩვენებლისა, ამ რეგიონებში, ტრადიციულად, შობადობის მაღალი მაჩვენებელიცაა. დედამიწის დანარჩენ რეგიონებში მოსახლეობა ძალიან ნელა იზრდება. მიზეზი კი ცხოვრების მაღალი დონეა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობამ 7 მილიარდს უკვე გადააჭარბა.

23 ივლისი ვეშაპებისა და დელფინების საერთაშორისო დღეა (ინგ. World Whale and Dolphin Day). ეს დღესასწაული 1968 წელს დაწესდა, ვეშაპებზე 200-წლიანი ნადირობის აკრძალვის შემდეგ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვეშაპის ხორცის გაყიდვა მთელ მსოფლიოში იკრძალება. საზოგადოდ, ეს დღე არა მხოლოდ ვეშაპების, არამედ წყლის ყველა ბინადრის დაცვის დღედ მოიაზრება. ამ დღეს სხვადასხვა ორგანიზაცია მართავს მშვიდობიან აქციებს მათ დასაცავად. რუსეთში ყოველწლიურად აღნიშნავენ ამ დღესასწაულს, რადგან მათ ზღვებში ასობით სხვადასხვა ჯიშის ვეშაპია. მრავალი მათგანი გადაშენების პირასაა და ამიტომაც „წითელ წიგნშია“ შეტანილი.